



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ზაქარია აგულეცი

ზაქარია აგულეცი (26. IX. 1630–1691), სომეხი ვაჭარი და მემათიანე. ზედწოდება „აგულეცი“ მიიღო მშობლიურ სოფელ აგულისიდან. 17 წლის ასაკიდან ჩაება სავაჭრო საქმიანობაში, რის წყალობითაც მოიარა ამიერკავკასია, ირანი, ოსმალეთი და დას. ევროპის ქვეყნები. ნანახი და განცდილი აღწერა თავის „დღიურში“, რ-იც დღეისათვის ცნობილი მისი ერთადერთი ნაწარმოებია. „დღიური“ დაწერილია ქრონოლ. თანმიმდევრობით, 1647 დაწყებული – 1691 ჩათვლით. აზიისა და ევროპის ქვეყნებში მისი თანადროული მნიშვნელოვანი მოვლენებისა და კერძო ამბების გადმოცემისას საინტერესო ცნობებს გვანჯდის საქართველოს პოლიტ., სოც. და ეკონ. ცხოვრების ცალკეული ფაქტების შესახებ. ეს ცნობები ავსებენ, ზოგჯერ კი ამუსტებენ XVII ს. საქართველოს ისტ. ცნობილ მოვლენებს. ქართ. ისტ. წყაროებისგან განსხვავებით, ზ. ა. ვახტანგ V-ის ხომკარში გარდაცვალების თარიღად ასახელებს 1676. მასთან პირველად ვხვდებით ვახტანგ V-ის მონამვლის ცნობას. ზოგიერთი ახ. დეტალით ავსებს ჩვენს ცოდნას ვახტანგ V-ის სიკვდილის შემდეგ საქართველოში შექმნილ პოლიტ. სიტუაციაზეც. საყურადღებოა მისი ცნობა დას. საქართველოში ოსმალთა სამხ. ექსპედიციაზე არჩილ II-ის წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ზ. ა-ის ცნობები სომხეთში მოღვაწე, შაჰის სამსახურში მყოფი ქართვე. ეროვნების მსხვილ და საშუალო მოხელეებზე [მაგ., ერევნის სახანოს ქართვე. მმართველი ბალ-ხანი (1679–85), ცნოს ბატონი ფარსადან-ბეგი და სხვ.], თბილ. ბარაფხანაზე, 1651 წ. 11 აგვისტოს დიდი წყალდიდობის შესახებ თბილისში და სხვ.

თხზ.: დღიური, ნაწ. 2–3. ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941; А б е г я н М., История древнеармянской литературы, Ер., 1975.

**გ. მაისურაძე**

---